ევროპული სამაგისტრო პროგრამა ლექსიკოგრაფიაში

European Master in Lexicography

EMLex

https://emlex.eu.usc.gal/web/

ევროპულ სამაგისტრო პროგრამას ლექსიკოგრაფიაში (EMLex, European Master in Lexicography), რომელიც 8 უნივერსიტეტის კონსორციუმმა დაარსა, უკვე მესამედ მიენიჭა ერაზმუს მუნდუსის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სტატუსი ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს (EACEA) მიერ. პროგრამამ შვიდწლიანი აკრედიტაცია მიიღო და იმოქმედებს 2030 წლამდე. ეს არის უნიკალური სამაგისტრო პროგრამა ლექსიკოგრაფიაში, რომელსაც ევროპაში არა აქვს ანალოგი.

კონსორციუმის კოორდინატორი უნივერსიტეტია სანტიაგო დე კომპოსტელა, ესპანეთი. კონსორციუმის სრული წევრები არიან: ერლანგენ-ნიურნბერგის ფრიდრიხ-ალექსანდერის სახელობის უნივერსიტეტი, გერმანია; უნივერსიტეტი რომა ტრე, იტალია; ლოთარინგიის უნივერსიტეტი, საფრანგეთი; მინიოს უნივერსიტეტი, პორტუგალია; **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო;** რეფორმატული ეკლესიის კაროლი გაშპარის სახელობის უნივერსიტეტი ბუდაპეშტში, უნგრეთი; ჰილდესჰაიმის უნივერსიტეტი, გერმანია.

გარდა სრული წევრებისა, კონსორციუმში შედის 8 ასოცირებული წევრი.

ლექსიკოგრაფია, ციფრული ჰუმანიტარია, ენობრივი ტექნოლოგიები, ბუნებრივი ენის დამუშავება და ხელოვნური ინტელექტი - ეს არის ის ძირითადი მიმართულებები, რომლებზეც ფოკუსირებულია ეს ინტერდისციპლინური ევროპული სამაგისტრო პროგრამა.

ლექსიკოგრაფიის ევროპულ სამაგისტრო პროგრამას გამოარჩევს მისი ინტერნაციონალური ორიენტაცია, მჭიდრო ურთიერთკავშირი თეორიასა და პრაქტიკას შორის, მრავალენოვნების პოპულარიზაცია (პროგრამის სასწავლო ენებია ინგლისური და გერმანული, გარდა ამისა, სხვადასხვა

უნივერსიტეტებში განაწილებული სტუდენტები ეუფლებიან სხვა ევროპულ ენებსაც), ინოვაციური მიდგომები სწავლებისა და სწავლის საკითხებისადმი, ფართო მობილობა კონსორციუმის უნივერსიტეტებში და მჭიდრო კავშირი კერძო და სახელმწიფო სექტორებთან.

პროგრამაზე სწავლობენ სტუდენტები მრავალი ქვეყნიდან და თითქმის ყველა კონტინენტიდან. სამაგისტრო პროგრამა ზრდის მრავალენოვან სპეციალისტებს, რომელთაც შეუძლიათ ახალი ციფრული რესურსებისა და პროგრამული ინსტრუმენტების შექმნა ენის ლექსიკის ანალიზისათვის, ენობრივი ინფორმაციის ვიზუალიზაციის ახალი მიმართულებების გათვალისწინებით. ამასთან ერთად სტუდენტები სწავლობენ პროგრამირებას, სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს და სხვა. სამაგისტრო პროგრამაზე ლექციებს კითხულობენ სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების წამყვანი სპეციალისტები.

ევროპული სამაგისტრო პროგრამის ყოველ ახალ კურსს ენიჭება კონსორციუმში შემავალი ქვეყნების ცნობილი ლექსიკოგრაფების სახელი. **2024-2025 სასწავლო წლების სტუდენტების კოჰორტა სულხან-საბა ორბელიანის სახელს ატარებს.**

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

პროგრამას ყველა უნივერსიტეტში ჰყავს დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს პროგრამის გამართულ მუშაობას თავის უნივერსიტეტში. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი წყდება კონსორციუმის სხდომაზე, რომელიც 6 თვეში ერთხელ იმართება.

პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები ნაწილდებიან კონსორციუმის რვა უნივერსიტეტში მათი სურვილის შესაბამისად.

პირველ სემესტრში სტუდენტები სწავლოვენ ე.წ. B მოდულებს, Basic Modules (ლექსიკოგრაფიის საფუძვლები), სულ 10 მოდული, რომლის მიზანია სტუდენტები მოამზადოს შემდეგი საფეხურისათვის და უზრუნველყოს მათი ცოდნის მეტ-ნაკლებად ერთნაირი დონე. ეს მოდულები ისწავლება დისტანციურად, მუდლის პლატფორმისა და ლექტორებთან მიმოწერის მეშვეობით. ამ პროცესს ასევე აკონტროლებს

მასპინძელი უნივერსიტეტის წარმომადგენელი. B მოდულებში სტუდენტები იღებენ 10 კრედიტს. დანარჩენ 20 კრედიტს სტუდენტი იღებს თავის მასპინძელ უნივერსიტეტში. ეს საგნები შეიძლება იყოს უცხო ენები, მაგ. ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და სხვა. სტუდენტს ასევე შეეთავაზება თეორიული საგნები ლექსიკოგრაფიის, კორპუსული ლინგვისტიკის, მომიჯნავე სფეროს საგნებიდან, რაც ისწავლება მასპინძელ უნივერსიტეტში. ეს საგნები წინასწარ არის შეთანხმებული კონსორციუმთან.

მეორე სემესტრი არის ე.წ. მობილობის სემესტრი. ყველა უნივერსიტეტიდან სტუდენტები მიემგზავრებიან ერთ უნივერსიტეტში, რომელიც ყოველ წელს იცვლება. აქ სტუდენტები გადიან ინტენსიურ A მოდულებს (Advanced modules). მეცადინეობები ტარდება აუდიტორიებში, ყოველი მოდულის ლექტორი, ასევე მოწვეული მეცნიერები ჩადიან იმ უნივერსიტეტში, სადაც ტარდება მობილობის სემესტრი. პროგრამის ხარჯებს ანაზღაურებს თავად პროგრამა. ამ სემესტრში სტუდენტები 30 კრედიტს მთლიანად A მოდულებში იღებენ.

მესამე სემესტრში სტუდენტები ბრუნდებიან თავის მასპინძელ უნივერსიტეტში, შესაძლებელია კიდევ ერთი ინდივიდუალური მობილობა კონსორციუმის რომელიმე უნივერსიტეტში. მესამე სემესტრში სტუდენტები მასპინძელ უნივერსიტეტში იღებენ საგნებს და ასრულებენ 30 კრედიტს. მუდლის პლატფორმაზე ასევე არის ვიდეო-ლექციების ციკლი, რომელიც ჩართულია სასწავლო პროგრამაში.

მეოთხე სემესტრი არის სამაგისიტრო ნაშრომი, რომლის ხელმძღვანელები და რეცენზენტები არიან პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი.

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები იღებენ ერთობლივ დიპლომს, რომელსაც რვა უნივერსიტეტის რექტორი აწერს ხელს.

საგნები:

B მოდულები: (ლექსიკოგრაფიის საფუძვლები) Foundations in Lexicography:

B1.1. Foundations in Lexicography: Basics of Linguistics

B1.2. Foundations in Lexicography: What is a dictionary?

B1.3. Foundations in Lexicography: Dictionary article: Lexicographic items

B1.4. Foundations in Lexicography: Dictionary structures (micro and macro structure)

B1.5. Foundations in Lexicography: Corpus search and analysis methods

B1.6. Foundations in Lexicography: Dictionary typology

B1.7. Foundations in Lexicography: Terminology

B1.8. Foundations in Lexicography: Dictionaries and their use

B1.9. Foundations in Lexicography: Research in Lexicography

B1.10. Foundations in Lexicography: Data Representation for Lexicography

A (Advanced modules) მოდულები

A1 Metalexicography

A2 History of Lexicography

A3 Modeling and Representing Data in Digital Lexicography

A4 Research into Dictionary Use

A5 Special Field Lexicography and Terminology

A6 Computational Lexicography

A7 Dictionaries and Translation

A8 Lexicography and Lexicology

A9 Dictionary Planning and Production

A10 Learner Lexicography